



ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიმართვა საქართველოს სსრ მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-12 სესიისადმი

საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკით გამოწვეულმა კრიზისმა ქართველი ერის წინაშე დააყენა საარსებო მნიშვნელობის პრობლემები, რომლებიც დაუსოფნებელი მოთხოვნები გადაწყვეტას.

არსებული ხელისუფლება და კონსტიტუცია ვერ უზრუნველყოფენ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას.

ქარდინალური ცვლილებების შეტანა რესპუბლიკის ცხოვრებაში შეუძლია მხოლოდ მრავალპარტიულ პარლამენტს და ქართველი ერის ნებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ამსახველ კონსტიტუციას.

მაგრამ მრავალი საჭიროებო საკითხის გადაწყვეტა ვერ მოითმენს გადადებებს დემოკრატიულ პარლამენტამდე - ისინი უნდა გადაწყდეს დღესვე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის წინაშე აყენებს შემდეგ მოთხოვნებს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ

1. სცნოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისის დადებული ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი საბჭოთა რუსეთის მხრიდან და რსფსრ-სა და სსრკ უმაღლესი საბჭოების წინაშე დააყენოს საკითხი ამ ფაქტის ცნობის შესახებ;

2. სცნოს 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და მისი შემდგომი ანექსიის ფაქტი და სსრკ უმაღლესი საბჭოს წინაშე დააყენოს საკითხი ამ ფაქტის ცნობის შესახებ;

3. სცნოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ერთადერთ კანონიერ იურიდიულ დოკუმენტად, რომელზეც უნდა იყოს აგებული ამ ორი რესპუბლიკის ურთიერთობა და მიმართოს სსრკ უმაღლესი საბჭოს ანალოგიური გადაწყვეტილების გამოტანის წინადადება.

4. მიიღოს კანონი იმის შესახებ, რომ საქართველოში, როგორც სუვერენულ სახელმწიფოში, აღდგენილ იქნას ქართული ეროვნული არმია, მანამდე კი სავალდებულო სამხედრო სამსახურში უკვე გაწვეული ქართველი ახალგაზრდები და კადრის ოფიცრები დაბრუნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ საჯარისო შენაერთებში;

5. მიიღოს კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ;

6. მიიღოს კანონი არჩევნების შესახებ, რომლის მთავარი პირობა უნდა იყოს ა) საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან მე-6 მუხლის ამოღება (კომუნისტური

პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შესახებ);

ბ) თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, მრავალპარტიული, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით არჩევნების დაკანონება;

გ) გარანტია ყოველი მოქალაქისათვის თავისი კანდიდატურის ნებისმიერ ტერიტორიულ-საარჩევნო ოლქში თავისუფალი წამოყენებისა და საკუთარი საარჩევნო პლატფორმისა და პროგრამის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აგიტაციის თანაბარი შესაძლებლობისა;

დ) არჩევნების ერთიანი კანონის უალტერნატივო მოქმედება რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე;

7. მიიღოს კანონი იმის შესახებ, რომ სსრკ კანონები საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდნენ მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მათი დამტკიცების შემთხვევაში;

8. გამოაცხადოს საქართველოს რეალური სუვერენიტეტი მთელ მის ტერიტორიაზე; (საქართველოს საკუთრებად გამოაცხადოს საქართველოს მიწა, წიაღი, შიდა და ტერიტორიალური წყლები, ტყე და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები);

9. განიხილოს საკითხი

ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს სრულუფლებიან წევრად შესვლის შესახებ;

ბ) საქართველოს მიერ უცხოეთის ქვეყნებთან დიპლომატიური მისიების გაცვლის შესახებ;

გ) საქართველოს გამოცხადების შესახებ უბირავო ზონად.

თუკი საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე დადებითად არ იქნა გადაწყვეტილი საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელოვანი საკითხები იმპერიული ძალების უხეში ჩარევის, დაშინებისა და შანტაჟის მიზნით, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მოუწოდებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დემუტატებს, გამოიჩინონ მოქალაქეობრივი გაბეღულება და ეროვნული პასუხისმგებლობა ქართველი ხალხის წინაშე და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 69-ე მუხლის საფუძველზე გამოაცხადონ საქართველოს გამოსვლა სსრკ-ს შემადგენლობიდან.

თბილისი,

1989 წლის 15 ნოემბერი.

ზ უ რ ა ბ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ოჯახი, ახლობლები, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება უღრმეს მადლობას უხდის ყველას, თანამემამულეს თუ უცხოელს, ვინც ბუნდობლივად და კეთილშობილურად გამოიჩინა და დღეისათვის მდგრადი მხარდობით თუ სისხლის გაღებით უანგარო დახმარება გაუწია 13 ოქტომბერს მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად მძიმედ დაზარალებულ ზურაბ ჭავჭავაძეს.

რაც შეეხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, იგი კვლავ მძიმეა.

26 ოქტომბერს სამხატვრო გალერეის წინ დაიწყო აფხაზეთში მცხოვრები ქართველების წარმომადგენელთა მხლომარე გაფიცვა. გაფიცულები მოთხოვნიდნენ რეგიონში არსებული უმწვავესი პრობლემების გადაჭრას, 15-16 ივლისს აფხაზეთში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის მომწყობთა დასჯას, ანტიქართული ტერორისტული ელემენტებისაგან იარაღის ამოღებას და სხვა. აქციას წარმართავდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

29 ოქტომბერს კინოს სახლთან საქართველოს სახალხო ფრონტმა ჩაატარა პიკეტი უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის დაყოვნების საპროტესტოდ. მიტინგის დასასრულს პელსინკის კავშირისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხელმძღვანელების ინიციატივით მომიტინგეები გაემართნენ მთავრობის სასახლისაკენ და მის კიბეებზე, რომელიც 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ შეპოლიბილი იყო რეკონსტრუქციის საბაზით, დაიწყეს მხლომარე გაფიცვა. მათივე ინიციატივით აქვე ვადმოყვანილ იყვნენ სამხატვრო გალერეის წინ მიპდინარე აქციისა და სპორტის სასახლის წინ 11 ოქტომბერს დაწყებული წვევაძღვლთა მხლომარე გაფიცვის მონაწილენიც. განახლდა "ეროვნული ხსენის კომიტეტის" შექმნის ღონისძიება, რომელშიც პაულონიანა ომონიკიანი, ანაბიხაიციების ერთი წარმომადგენელი და 1-3 ნოემბერს ეს კომიტეტი

აწარმოებდა მოლაპარაკებას ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

5 ნოემბერს მთავრობის სასახლის წინ მიმდინარე გაერთიანებული აქცია შეწყდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა საერთაშორისო მისიების ჩამოსვლასა და რეჟერენდუმის ჩატარებაზე, რომელზეც უნდა გაირკვეს, სურს თუ არა საქართველოს მოსახლეობას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის დაყენება საერთაშორისო სამართლის ღონეზე.

აქციის შეწყვეტის შემდეგ წვევაძღვლთა კვლავ სპორტის სასახლის წინ გადინაცვლეს, ხოლო აფხაზეთის ქართველობის წარმომადგენლებმა, რომელთა მოთხოვნები გაერთიანებული აქციის მიმდინარეობისას თითქმის არ დაკმაყოფილებულა, ისევ სამხატვრო გალერეის წინ განაგრძეს მხლომარე გაფიცვა.

ამის შემდეგ აფხაზეთის ქართველობის აქციას შეუერთდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომლის გამგეობისა და დარბაზის წევრები ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელთან ერთად 6 ნოემბერს სამხურ შეხვედრენ საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს აფხაზეთის ქართველობის სამართლიანი და რეალური მოთხოვნების უსწრაფესი დაკმაყოფილების მიზნით.

მოლაპარაკების შედეგად გამოიკვეთა მთავრობის პოზიცია, კერძოდ ის, რომ მთავრობა აფხაზეთის ქართველობის მოთხოვნებს სამართლიანად მიიჩნევს, მაგრამ რიგი საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს დროსა და ტექნიკური მხარის გათვალისწინებას; მთავრობა თანახმაა, აფხაზეთის ქართვე-

არჩევანი მცირეა

საბჭოთა იმპერიის მესვერთ მწვავე კრიზისიდან გამოსვლის ორი - დიქტატორისა და დემოკრატიის გზა გააჩნიათ. თანამედროვე მსოფლიო ტექნოლოგიური განვითარება, საზოგადოებრივ-სოციალური პროცესები და ცივილიზაციის ღონე იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ "დიქტატორა" საბოლოოდ ვერ იხსნის იმპერიას. პირიქით, ეს იქნება ხანმოკლე, მტკიცეული და სისხლიანი ნგრევა, ე.ი. დაშლა - აფეთქებითა და ათასი გაუთვალისწინებელი მოვლენებით. დიქტატორა რომ არც გზა და არც გამოსავალი არაა, ეს უგუნური რუსი გენერლის გარდა ყველაზე შესანიშნავად შეიგნო.

ღობის რამდენიმე წარმომადგენელი დარჩეს თბილისში აქციის შეწყვეტის შემდეგ რათა მონაწილეობა მიიღონ დაყენებულ საკითხების გადაწყვეტის პროცესებში. მხლომარე აქცია გრძელდებოდა 7-9 ნოემბერს. მთავრობასთან მოლაპარაკება განაგრძო "ეროვნული ხსენის მთავარმა კომიტეტმა".

მიუხედავად იმისა, რომ წამოყენებული მოთხოვნები თითქმის არ დაკმაყოფილებულა, აქციის მონაწილეებმა მხედველობაში მიიღეს სოხუმში ვითარების გამწვავების შესაძლებლობა მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით, ამიტომ აქცია დროებით შეწყდა 9 ნოემბერს საღამოს და გადაწყდა მისი შეცვლა პროტესტის სხვა ფორმებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მიუხედავად გარკვეული ძალების მცდელობისა, განვიღვ დღეებში მიმდინარე აქცია ვერ განვითარდა იმ მიმართულებით, რაც საქართველოში ეროვნული მოძრაობის ჩახშობის მსურველთა ბუნებრივი ზრახვების განხორციელების საშუალებას მისცემდა...

რეალურია მხოლოდ გზა დემოკრატიისაკენ, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, იმპერიაში დატყვევებული ერების თავისუფლებათაზე გადის. ამ პროცესის წარმატებისათვის კი, ყველა ტყვე ერთა კონსოლიდაციასთან ერთად, აუცილებელია რუსეთის სამხედრო ქვეყნიდან სამრეწველო ქვეყნად გადაქცევა. ეს აუცილებლად ითვალისწინებს რუსი გენერლის პროფესიონალური შეცვლასა და ადამიანური შრომით დაშვებული რუსეთის გამოკვებასაც.

ვაჟა ყაჭვიშვილი

ცხუმში აფხაზეთის უმაღლესი საბჭო საიღმლოდ (!) აშხალებს კანონს არჩევნების შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთ უმცირესობას (17%) უმაღლესი საბჭოში უმრავლესობის მისაღებად სურს არჩევნები ჩაატაროს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, შემოქმედებთ კავშირებში და სხვ., რადგან ხელმძღვანელი თანამდებობები ყველაზე აფხაზეთა ხელშია. ქართულ უმრავლესობაზე (46%) ზემოქმედებისათვის ჩააქტიურებულია ორპალატიანი უმაღლესი საბჭო. ასეთ არადემოკრატიულ არჩევნებზე სსრკ უმაღლესმა საბჭომაც კი უარი თქვა.

რადიო "თავისუფლების" კორესპონდენტ გ. სალუზანოვასთან ინტერვიუში აღან ჩოჩიევმა, ე.წ. "სამხრეთ ოსეთის არ"-ს სახალხო ფრონტის "ადამონ ნიხასის" თავმჯდომარემ, არ ახსენა ოსი ხალხისა და "ადამონ ნიხასის" სახელით სსრკ უმაღლესი საბჭოში გაგზავნილი მოთხოვნები.

აღან ჩოჩიევს, როგორც ჩანს, არ სურს "ადამონ ნიხასის" კომპრომეტირება დასავლეთის წინაშე, რადგან მათი მოთხოვნები ამჟამად დისკრიმინაციული, ანტიქართული და საქართველოს ერთიანობის ხელყოფის ცდაა.

მ ნოემბერს, მთავრობის სასახლის წინ გამართულ მიტინგზე ბ-ნმა ზ. გამსახურდიამ განაცხადა: "...მთა (ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრებს. რედ.) აქვე სეპარატური მოლაპარაკება, საილუმო მოლაპარაკება ოსურ ტერიტორიაზე ანტიკარულ ორგანიზაციასთან "ადამონ ნიხასთან", რომელსაც ჩვენთან დამოუკიდებლად წარუდგინდა ზურაბ ჭავჭავაძე იქ. ამჟამად განაგრძობენ ისინი რალაც სეპარატულ მოლაპარაკებას, პირდაპირ, რომ ეს არის ოსური მიწა, რომ თქვენ უნდა შექმნათ რესპუბლიკა და ასე შეძლებთ".

ამ უპასუხისმიერებლად, ცილისწამებულ განცხადებასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ შემდეგი: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მართლაც აწარმოებდა მოლაპარაკებას "ადამონ ნიხასთან", მაგრამ ეს მოლაპარაკება არ იყო არც "ფარული" და არც "საილუმო". მის შესახებ კარგად უწყის ყველამ, ვინც ჩვენს ბრიფინგებს ესწრებოდა ვაკის პარკში ხუთშაბათობით. ეს მოლაპარაკება მიზნად ისახავდა ისტორიულ შიდა ქართლში მშვიდობის დამკვიდრებას და იმ ოსი პროვოკატორების გონზე მოყვანას, რომელთა უკან აფხაზი და რუსი ინსპირატორები დგანან. მოლაპარაკება, რომელიც რამდენჯერმე შედგა, მიმდინარეობდა მეტად დამაბულ ვითარებაში და აღზადა დადებითი შედეგები მოჰყვებოდა (ერთ კრიზისულ სიტუაციაში მოჰყვა კიდეც, როცა საერთო მიზართვა გამოქვეყნდა), მაგრამ საქმე გააყოფა აკად. ა. სახაროვის ცნობილმა ინტერვიუმ ჟურნალ "ოგონიკოში", რომელიც საქართველო "მცირე იმპერიადაა" გამოცხადებული (რამაც იმელები გაუცხოველა "ადამონ ნიხასის" ზოგიერთ მერყევ წარმომადგენელს), აგრეთვე თბილისსა და რიგ რაიონებში ჩატარებულ მიტინგებზე ზოგიერთმა დაუოქრებელმა განცხადებამ... ყოველივე ამის შემდეგ "ადამონ ნიხასთან" მოლაპარაკება ჩიხში შევიდა და შეწყდა კიდეც.

ყოველ მოლაპარაკებაზე საკითხი დაყენებული იყო სრულიად კატეგორიულად და გარკვევით, რომ ე.წ. "სამხრეთ ოსეთის აო" არის ძირძველი ქართული მიწა და თუ "ადამონ ნიხასის" ხელმძღვანელებს პოლიტიკური რეალიზმის გრძნობა გააჩნიათ, მათ არავითარი იმედი არ უნდა აქონდეთ პოლიტიკური ავტონომიის; რომ მათ უნდა გაიხედონ ხვალისაკენ, როდესაც საქართველო უკვე დამოუკიდებელი იქნება და ის ოსები, რომელთაც ქართულ მიწაზე უსაფუძვლო პრეტენზიები აქვთ, ქართველების წინაშე აღმოჩნდებიან რუსი მხარველების გარეშე; რომ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოში მათ ექნებათ ფართო კულტურული ავტონომია და ა.შ.

საერთოდ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პოზიცია ამ პრობლემატან დაკავშირებით სრულიად ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული ზურაბ ჭავჭავაძის ინტერვიუში, რომელიც ა.წ. 26 სექტემბერს გამოქვეყნდა გაზეთში "მოლოდიო გრუზი". მოგვყავს ინტერვიუს ამ ადგილის ქართული თარგმანი:

"ოსების გადმოსახლება საქართველოში მრავალი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა, მაგრამ ამას არასოდეს მიუღია ოსების მიერ საქართველოს მიწების დაპყრობის ხასიათი. რატომ ვუსვამ ხახს ამას? იმიტომ, რომ არა კმარა მარტო იმის თქმა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოქქის ტერიტორია ძირძველი ქართული მიწაა, - აქ ხომ ოდითგანვე ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრობს მკვიდრი ქართველი მოსახლეობა... არსებობს თუ არა რამე ობიექტური საფუძველი იმის სამტყიცებლად, რომ საქართველოს ეს ნაწილი აღარაა საქართველო და ის ოსეთად გადაიქცა? მსოფლიო ისტორიამ არაერთი შემთხვევა იცის, რომ ამა თუ იმ მკვიდრმა მოსახლეობამ დაკარგა უფლება საკუთარ მიწაზე, მაგრამ ეს ყოველთვის ხდებოდა მხოლოდ მათი დაპყრობის შედეგად. როგორაა საქმე ჩვენს შემთხვევაში? როგორც უკვე აღვნიშნე, სხვადასხვა მხედველობის გამო თავისი სამშობლოდან გამოქცეული ოსები საქმედობდნენ ქართულ სოფლებში ქართველთა გვერდით და ცალკეულ სოფლებსაც კი აარსებდნენ მთიანი ადგილებში ქართულ ხელისუფლად ნებართვით. მაგრამ მთელი ისტორიის განმავლობაში, თვით 1922 წლის 20 აპრილამდე, კავკასიონის სამხრეთით არ არსებობდა თუნდაც უმნიშვნელო ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ჩასახვის სტალიაშიც კი. ამიტომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ოსური სახელმწიფო, რეგულარული, საქართველოს ტერიტორიაზე. (ხახი ჩვენია. რედ.). რაც შეეხება იმ ოსებს, რომლებიც ისტორიული კატაკლიზმების შედეგად აღმოჩნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და აქ მთორე სამშობლო პოვეს, ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ მათ აქონდეთ ფართო კულტურული ავტონომია, რათა სრულყოფილად განავითარონ თავიანთი ოსური ენა, მეცნიერება, კულტურა, ტრადიციები და ეროვნული თვითშეგნება. ეს ჩვენ მიგვარჩია ამ საკითხის ერთადერთ სწორ გადაწყვეტად".

ფაქტობთ, მკითხველისათვის სრულიად ნათელია ბ-ნ გამსახურდიას განცხადების მთელი სიყალბე, რომ თითქოს ჩვენ ოსებს ქართულ მიწებს და რესპუბლიკას ვთავაზობდეთ.

ახლა კვლავ მოვუსმინოთ ბ-ნ გამსახურდიას, რა ცილს გვწამებს მესხების საკითხში:

მოვიტხოვთ დამნაშავეთა დასჯას

ქ. ქარელში შინამოსვლელთა სკვერთან 27 ოქტომბერს დაიწყო წვევამდელთა მჯლომარე გაყიცვა. ისინი მოითხოვენ სამხედრო სამსახურის საქართველოში მოხდას. აქვე 31 ოქტომბერს მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი. იგი გახსნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრმა დათო ჭაბუკაშვილმა. მან შეკრებილ ინჟინრმაცია მი-აწოლა გაყიცულთა შესახებ და აუწყა მათ, რომ დღეს რესპუბლიკის საარგლებზე გარეთ დიდ ჩავგრას განიცდიან ახარლებული სა-მხედრო სამსახურში მყოფი ქართველი ანა-ღაზრდები, რაც ხშირად მკვლელობით ან თვითმკვლელობით მთავრდება. მან მოუწოდა წვევამდელთა მშობლებს, ნუ ჩააგდებენ საყრდენში თავიანთი შვილების სიცოცხლეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ადგილზე, ოთხი თვის წინ, გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე მოყვანილ იქნა სამხედრო სამსახურში უკანონო გაწვევის ფა-ქტები, რასაც ხელს უწყობს ადგილობრივი სამხედრო კომისარიატი. კერძოდ, ქარელე-ლი ახალაზრდა ოღებ ზეინკლიშვილი, რ-

მელმაც თავის ტვინის მძიმე ოპერაცია გადაიტანა, ჯანმრთელად ცნეს და სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, რის შემდეგ ექვს თვეში გარდაიცვალა თავის ტვინის სიმსივნის დიაგნოზით.

რაიონის სამხედრო კომისარს ავთანდილ აგლაძეს ოღებ ზეინკლიშვილის დედამ სამ-ჯერ ჩამოუტანა ცნობა ოპერაციის შესახებ რესპუბლიკური საავადმყოფოდან, მაგრამ კომისარმა იგი სამივეჯერ გადამალა, რა-მაც ასე საბედისწერო შედეგი გამოიწვია. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ქარე-ლის ჟილიალმა მკაცრად მოითხოვა დამნა-შავეთა დასჯა, მაგრამ უშედეგოდ. დამნა-შავენი დღემდე დაუსჯელად დაპარპაშობენ. 26 ივნისს ჩვენ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრებმა მოვიტხოვეთ სი-სხლის სამართლის საქმის აღძვრა, პასუ-ხი კი დღემდე არ მიგვიღია.

31 ოქტომბერს მიტინგზე ილია ჭავჭავა-ძის საზოგადოების წევრებმა დათო ჭაბუ-კაშვილმა და ზურაბ ბაწყანაშვილმა ამას-თან დაკავშირებით მკაცრად მოსთხოვეს პასუხი რაიონის ხელმძღვანელებს, მაგრამ მათ თავი აარიდეს კონკრეტული პასუხის გაცემას, როგორც შემოწმების შედეგად გაირკვა, ეს საქმე ორ თვეზე მეტი ხნის

"...ჩხეიძე კი არა, ეს მთელი საზოგადოება, მთელი ხალხია გაერთიანებული, ამ მოლაპარაკებაზე დამდგარი, რომლებიც იბრძვის თურქების საქართველოში ჩამოსახ-ლებისათვის. მათ მთელი ნახევარი მილიონი თურქი აქ უნდა ჩამოსახლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ძალით შემოიჭრებიანო. ეს იგივეა, ვინმეს რომ ექადაგანა, რომ შაპ-აბასის მხედრობა ნებით შემოვიყვანოთ, სანამ ისინი ძალით არ შემოიჭრები-ანო. ზუსტად იგივეა".

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ამ "შაპ-აბასის მხედრობის" ჩამოსახლება თვით ბ-ნ გამსახურდიას უნდოდა ა.წ. 18 ივნისამდე (იხ. გაზ. "თბილისი", 7, ივნისი, 1989 წ. აგრეთვე გაზ. "ივერია", №10, 3 ივლისი, 1989 წ.), მან მშვე-ნივრად იცის, ვისი ჩამოსახლების მომხრენი ვართ ჩვენ, ხალხს კი სრულიად სა-წინააღმდეგოს ეუბნება. მკითხველს გავახსენებთ, რომ ჩვენი პოზიცია მესხების შესახებ სრულიად ნათლად გვაქვს საჯაროდ გაცხადებული და გამოქვეყნებული ჩვე-ნი გაზეთის "ივერიის" მე-9, მე-10, მე-12 და მე-13 ნომრებში, აგრეთვე ზურაბ ჭავჭავაძის ზემოთხსენებულ ინტერვიუში. მოვიყვანო ერთ ადგილს, რომელიც "ივე-რიის" მე-10 ნომერში მოზრდილი შრიფტითაც კი დავბეჭდეთ, თანაც სადა და მარტივი ენით (ლამის "ლედა ენის" სტილიში!):

"1944 წელს საქართველოდან გაასახლეს ქართველებიც (მესხები) და არაქართვე-ლებიც (თურქები, ქურთები და სხვ.). გასახლელ ქართველთა მნიშვნელოვანი ნა-წილი საუბედროოდ გადაგვარდა, ქართველობა დაკარგა და თურქობა დაიწყო. მაგრამ გასახლელთა შორის არიან ქართველები, რომელთაც შეინარჩუნეს თავიანთი ქარ-ველობა და სამშობლოს სიყვარული. სწორედ, აი, ამ ნაწილის სამშობლოში დაბრუ-ნება გვსურს ჩვენ, თანაც ეს დაბრუნება უნდა მოხდეს არა ერთბაშად, არამედ თა-ნდათანობით, საქართველოში არსებული მძიმე ვითარების გათვალისწინებით. ჩვენი აზრით, სამშობლოში დაბრუნებული ქართველები უნდა განსახლდნენ იმ ქართულ სოფ-ლებში (სამცხე-ჯავახეთის გარდა), სადაც არსებობს საამისო პირობები და სადაც ეს არ გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობას".

მიუხედავად ასეთი სრულიად ნათელი განცხადებისა, ბ-ნი გამსახურდია მაინც გაიძახის, რომ ჩვენ "თურქების" ჩამოყვანა გვინდა!

ნებისმიერი მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ბ-ნი გამსახურდია ორივე ზემოთმოყვანილ შემთხვევაში სწორედ იმის საწინააღმდეგოს გვაბრალებს, რა პოზი-ციასზედაც ჩვენ ვდგავართ. რა თქმა უნდა, ფაქტების ასეთი უღვთო გაყალბება ემ-სახურება არა მტკიცებელი ეროვნული პრობლემების გადაწყვეტას ობიექტური, საქ-მიანი მსჯელობის გზით, არამედ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დისკრედიტაციის ულის მიზანს. მაგრამ, უნდა შევახსენოთ ბ-ნ გამსახურდიას, რომ რაც უფრო ადვილია მიტინგზე შეკრებილი აგზნებული ხალხის შეცლომაში შეყვანა, მით უფრო ძნელია ისტორიისა და პირუფენელი მომავლის მოტყუება!

ჩვენ არაფერს ვაშობთ ამავე მიტინგზე ბ-ნ გამსახურდიას მხრიდან ჩვენი მი-სამართლო მრავალი შეურაცხმყოფელი გამოთქმის შესახებ. იმის განსჯაც მკითხველი-სათვის მიგვიჩნდება, რა ზნობრივი კატეგორიებით შეიძლება შეფასდეს ავტოკრატი-სტროფის შედეგად სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფ ადამიანზე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრ ზურაბ ჭავჭავაძეზე თავდასხმა! მით უფრო - ულისი ცილისწამება!..

შესაძლოა, ბ-ნმა გამსახურდიამ ჩვენს ამ განცხადებას იმიო უპასუხოს, რომ თავისი გამოსვლის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი მოგვთხოვს და რახან ვერ წარვუდგინეთ, ცილისწამებაში აქვე დავგდოს ბრალი.

ვითვალისწინებთ რა ამას, ჩვენ წინააღმდეგს ვამდებთ ბ-ნ გამსახურდიას, მიტინგებით ნუკი გვეუქრება ზემოთხსენებულ მიტინგზე ასე განაცხადა: "თუ არ მოისვენებენ, ჩვენ მოვწყობთ მათ საყოველთაო სახალხო მიტინგს და ამ მიტინგზე გავარჩევთ მათ მოღვაწეობას უფრო დეტალურად"., არამედ გამოაქვეყნოს თავისი ის შეხედულებანი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების საქმიანობის შესახებ, რაც ზე-მოთხსენებულ მიტინგზე წარმოადგინა. ბ-ნი გამსახურდია მეცნიერი კაცი ბრძანდება და პირველწყაროს დამოწმების მნიშვნელობა არ ესწავლება, ამიტომ კეთილ ინების და დამოწმის ჩვენი გამოცემები, აგრეთვე გაზ. "ქართულ ფილმსა" და "მოლოდიო გრუზი"-ში გამოქვეყნებული ინტერვიუები თამარ ჩხეიძესთან და ზურაბ ჭავჭავა-ძესთან, და მიუთითოს მკითხველს, სად გვიწერია ჩვენ, რომ თურქების ჩამოსახლება გვინდა, ან ოსებს რესპუბლიკასა და ქართულ მიწებს ვპირდებით. და, საერთოდ, ამიერიდან ჩვენს წინააღმდეგ წამოყენებული ყოველი ბრალდება წერილობით დააოქ-სირს და კონკრეტული საბუთით დაამოწმოს.

რედაქციის მინაწერი: ზემოთხსენებული ბრალდებები ბ-ნმა გამსახურდიამ კვლავ გაიმეორა 12 ნოემბერს კინოს სახლდან ჩატარებულ მიტინგზე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა

წინ გადაუციოთ თბილისის სამხედრო პრო-კურატურისათვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი არაა რეგისტრირებული პროკურატურა-ში... ქარელის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ჟილიალი

ილია ჭავჭავაძის საზო-გადოება ამასთანავე კატე-გორიულად გმობს ნეობოლშე-ვიკურ თავდასხმებს მწერალ ნაირა გელაშვილსა და გაზ. "ქართულ ფილმზე"!

წ. ქარელის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ჟილიალი
ლგოვი. 27 ოქტომბერს ქ. ლგოვის ზო-გიერთი საწარმო მთლიანად, ზოგიც ნაწი-ლობრივ გაიყიცა იმის საპასუხოდ, რომ მწერხდება 1 ოქტომბერს მშვიდობიანი დე-მონსტრაციის დარბევის ჯარებობათა ობი-ექტური გამოძიება.

რედაქტორის მაგიერ: კახაბერ კახაძე
სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბუხანდაძე, გუბა აფაქიძე, იოსებ ბანძელაძე, თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე
საზოგადოების დროებითი მისამართი: ლუნაჩარსკის 2, III სართ. ტ. 93-39-32